ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 105. მაისის 15, სამშაბათი. 1866—1884 მაისის 15, სამშაბათი. № 105.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნა-
აროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
უთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე
ხელისმომწერებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редак-
цію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10თვით—
მ.: 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დღესასწაულის გამო ხვალ, ოთხშაბათს, გაზეთი არ გამოვა.

«დროების» რედაქცია უმორჩილე-
ად აუწყებს იმ პირთ, რომელნიც ად-
რესს გამოიცვლიან, რომ რედაქცია-
ში უნდა წარმოადგინონ ან შვიდი შა-
ერი, ან ხუთი შვიდ კაპეიკიანი მარ-
კა. (10—1)

დღეს, მაისის 15-ს

თბილისის სამუსიკო ზალაში

ბ. ფ. ი. ქორიძე გამართავს

კონცერტს,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ბბ. ი. ი. რატილი, გ. ი. რიაბინინი და სცენის მოყვარენი ბ. მიქელაძე, ბერიძე, კიკნაველიძე, ბალანჩივაძე და ნ. კონტრიძე.

სხვათა-შორის ამ საღამოზედ იქნება ბ. ქორიძისგან ნოტებზედ გადაღებული

ქართული ხმების გალობა.

დასაწყისი 8 საათზედ.—ბილეთების წინადვე ყიდვა შეიძლება ლონდონის მაღაზიაში, კომერციის ბანკის ქვეითა სართულში. (2—2)

კიდევ სამეურნეო სასწავლებლების გამო.

თბილისი, მაისის 15-ს.

ერთ-ერთს ჩვენს მოწინავე წერილში გავაცანით მკითხველს მინისტრის წინადადება შესახებ სამეურნეო სასწავლებლების გახსნისა ჩვენში და ისიც, თუ როგორის თვალით უცქერის ჩვენი სამეურნეო საზოგადოება ამ საყურადღებო საქმეს. საკმაოა აქ მკითხველს მხოლოდ ის მოვაგონოთ, რომ ერთი წევრი ამ საზოგადოებისა ლაპარაკობდა დიდხანს და მჭევრ-მეტყველურადაც ლაპარაკობდა,—ჩვენთვის მდაბალი სამეურნეო სასწავლებლები საჭირონი არ არიანო. თუ საშუალო სასწავლებლებს გაგვიმართავენ და ამ სასწავლებლებიდამ გამოსულები ჩვენს ქვეყანაში დატრიალდებიან, შეუძლიანთ იგი სამოთხედ გარდააქციონო. ამ მრავალ-სიტყვიერს წევრს ავიწყდებოდა ის გარემოება, რომ აგრონომიის ზედ-მიწევნით მცოდნეც კი ვერას გახდება, თუ გამოცდილი და ერთგული მუშები არ ეყოლება და ამას გარდა საშუალო წოდებაზედ ზრუნვა ვერ აგვხდის იმ ვალს, რომ მდაბალს წოდებაზედაც ვიზრუნოთ.

მაგრამ კმარა ლაპარაკი ამ კანცელიარისტებზე, რომელთაც «სტოლნაჩალნიკებისთვის» მომზადებული სტოლი სახნავ-სათესი მინდორი ჰგონიათ, გამოჭრილი ბატის-ფთა—სახნის-საკვეთი და თავიანთ მორგვალებული „ოტნოშენიები“—ნაყოფიერი საქმე. ისა სჯობს მკითხველს ჩვენი დანაპირები შევუსრულოთ და მოკლედ გავაცნოთ ის ტიპი სამეურნეო სკოლისა, რომელიც, ჩვენის აზრით, ჩვენთვის ამ ჟამად უფრო საჭიროა.

სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც ბ. წინამძღვარიშვილმა გამართა სოფ. წინამძღვრიანთ-კარს, საუკეთესო წარმომადგენელია ჩვენთვის საჭირო სკოლებისა. მხოლოდ ეს არის, რომ ამ სკოლასთან სამეურნეო სწავლა შეერთებულია პირველ-დაწყებით სწავლასთან და ეს გარემოება უშლის პირველის ჯეროვანს წარმატებას. ჩვენის აზრით, უკეთესი იქმნებოდა,—ამ სკოლაში შესულებს გავლილი ჰქონდეთ კურსი სოფლის პირველ-დაწყებითი სასწავლებლისა, რომ თავიანთი დრო უფრო ნაყოფიერად მოახმარონ მეურნეობის საგნების როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად შესწავლას. ეს რასაკვირველია, ასე ემჯობინებოდა, მაგრამ მეტად ძნელი შესასრულებელია კერძო პირისათვის, რადგან ამას პირველში მაინც დიდი ხარჯი დასჭირდებოდა და ამ სკოლის გამმართავმა უიმისოდაც დიდი ამაგი დასდო ამ სკოლას და დიდი შემწეობაც გაუწია, რომ კიდევ ახალი, შეუძლებელი მსხვერპლი მოეთხოვოს.

მაგრამ, რაც შეუძლებელია კერძო პირისათვის, ის ადვილად შესაძლებელია მთავრობისათვის. მთავრობას შეუძლიან სახელმწიფო ადგილიც დაუთმოს ამ გვარს სკოლას, სკოლასთან ერთად პანსიონიც გამართოს და იმ მხარეში, სადაც ეს სკოლაა გამართული, სასოფლო სკოლებში კურსგათავებულები მოაგროვოს სამეურნეო სკოლაში მისაცემად.

ამ გვარად მოწყობილს სკოლას შეუძლიან მართლა მრავალგვარი სარგებლობა მოუტანოს ხალხსა. ჯერ ერთი ისა, რომ ყველა სოფლებში და არა ერთსა და ორში გავრცელდება ამ გვარ სკოლებში მიღებული სწავლა; მეორე ესა, სკოლაში შევლენ თოთხმეტ-თხუთმეტის წლის ყმაწვილე-

---

«დროების» ფელეტონი მაისის 15-ს.

ჭერამი

უწინდელი ქალაქი და აწინდელი სოფელი

«ამავე წყალზედ (ჭერამთ-ხევზედ) არის ციცის ანუ ჰრეთის მთის სიშორისასა ჭერემი. იყო ქალაქი, სადაც აღაშენა გორგასლან ეკლესია დიდშენი გუმბათიანი და ქალაქი მაგარი და დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი შიგნით-კახეთისა და ზის დღესაც». ასე იხსენიებს აწინდელს სოფელს ჭერამს ჩვენი გამოჩენილი გეოგრაფი ვახუშტი. აქედან ცხადად სჩანს, რომ ჭერამი, როგორც ქალაქი და საეპისკოპოზო, არსებობდა თვით ჩვენ გეოგრაფის დრომდისვე; მაგრამ რა მანქანებას შეუმუსრია ეს შემდეგში, ვგონებ, დაფარულია. შემმუსრავი ყოფილა მკაცრი და საშინელი: შვიდ ვერსტზედ გაფენილი ქალაქი, სამი დიდრონი გუმბათოვანი საყდრებით და ხუთამდის მომცრო მიფუშფულან ისე, რომ ქვის გროვის მეტი აღარა დაშთენილა-რა. ეს უზარ-მაზარი ქვის გროვანიც კი დაფარულან მიწისყან. ნაოხარ ქალაქზედ გაზდილა ჩრდილოვანი და დიდრონი იფნის ტყე, ვიდრე ნაოხარს ამ საუკუნის დასაწყისში არ დაჰპატრონებიან იმერეთიდან ბატონ-ყმობის სუსხს გამოქცეულნი რაჭველნი.

მომხდარა ეს საქმე ასე: ჭერამის ახლო სოფელ კაკაბეთში მოსული რაჭიდამ ერთი მღვდელი, რომელიც გამოქცევია ბატონის უსამართლობას. ამ მღვდელს სცოდნია თლა თაბხებისა, ვარცლებისა, ნიჩბებისა და სხვა ხის იარაღისა. ეს უკანასკნელნი კი უფრო სუფთანი გამოდიან იფნის ხისაგან. როცა ხალხში უსაღებია ეს თავისი ხელ-ნაწარმოები, შეუტყვია, რომ კაკაბეთიდან ჩრდილოეთისკენ—იქავ მთის გადასავალში, ყოფილა დიდი ტყე იფნის ხისა, გამგზავრებულა-რა იქით თავის ხელ-ნაწარმოებისთვის, მართლა ბევრი მასალა უშოვნია, უკეთებია ზემოხსენებული ნივთები და უსაღებია გარშემო სოფლებში. მეტად მოსწონებია მღვდელს ეს ნაოხარი ადგილი და ხმით, თუ წერილით შეუტყობინებია რაჭაში თავის თანამოძმეებისთვის — თუ ვისმე სურს ბატონების უსამართლობას გამოექცეს, აქ იპოვის მყუდრო სავანესაო. ამ შეთვლაზე მალე ჩაგრულთ ცულების ჩახუნი გაისმა მკვდარ ქალაქზე ამოსულ იფნის ტყეში. გაიჩეხა იგი. ნანგრევები, მიწით დაფარულნი, მალე გამოჩნდენ და გადიქცნენ უხვ-მასალად ახალ-მოსულთ ზღუდე-სადგურებისა. ჟამად ნაჩვევთ თავისუფალ შრომას დიდი ბარაქა ჰქონდა. ამას რომ დავუმატოთ ის გარემოებაც, რომ ახლად გადმოსულნი იყვნენ ყოველ გვარი ხელობის მცოდნენი, როგორც საზოგადოდ რაჭველნი, მაშინ მიხვდებით—თუ ასე მოკლე ხანში ეს ნაოხარი როგორ გადაიქცა კოპწია სოფლად, რომელიც შორიდან თავის ქვითკირის სახლებით და კრამიტ-დახურული საქათმეთიც კი ქალაქად მოგეჩვენებათ. ეს კიდევ არაფერი. როცა, მკითხველო, მშვენიერ კახეთში მოგზაურობთ, სიღნაღიდამ დაწყებული თელავამდე, და სიამოვნებით უმზერთ აუარებელ კრამიტის სახურავებს სახლებზე, უნდა იგულისხმოთ, რომ ეს კრამიტი გაკეთებულია საწყალ ჭერამის აწინდელ, მცხოვრებლებისაგან. მარტო მშვენიერი კახეთიც არა, ალაზან გაღმა სოფ. გავაზ, ხაშმიან-ბექანიანი, მთელი ივრის ხეობა—სოფელ სართი-ჭალამდე—სარგებლობს ჭერამელთაგან მოჭრილი კრამიტით. კრამიტის ჭრის გარდა, რომელი ხელობა არ ემარჯვება ჭერამელს? ვარცლების, კასრების, თაბხების და ნიჩბების გაკეთება, ცხრილების და კალათების წნა,—სალესავების და ქვის ხელ-საფქვავების კეთება. ქვევრების სახურავისა, თითონ ქვევრების და კეცების გამოყვანა, ეს ავეჯი მოფენილია ამათგან მთელ შიგნით და გარე კახეთში—აგრეთვე ქიზიყშიაც.

ერთმანეთში საზოგადო დამოკიდებულებაც შესანიშნავი აქვთ ჭერამელთ: ვენახები მშვენიერები გაუშენებიათ და შიგ ლამაზი ქვითკირის მარნები კრამიტით მორთულნი გაუფანტავთ, ღობე ამ ვენახებს საზოგადო აქვთ. ქვედა ნაწილი ზედიზედ დაწყობილ ნანგრევ ქვისაგან შესდგება, შუა წელი ქვაში დატანებულ მარგილზე მოწნულისაგან და ზევით გარიგებულ ჯალჯისაგან. თუ საწყლის, ან ქვრივ-ოხრის გასადევარი ღობე დაინგრა, საზოგადოდ აკეთებენ. მეველე ანუ ყარაული ვენახში არ იციან, მაგრამ მიჯნაზე ისე გაივლის აქაური მცხოვრები, რომ, რაც უნდა უჭირდეს, მეზობლისას არას მიეკარება. წისქვილები ბლომად აქვთ—ყველა შეძლებულ კომლს თითო; ღარიბნიკი ოთხნი და ხუთნი ერთად არიან მიმდგარნი და ყველა რიგება იმას, რომ უმინდოთ ჰფქვავს თავის საკვებ პურს და სიმინდს—სხვა შემოსავალი არა აქვთ-რა წისქვილებიდამ. აპრილიდამ დაწყებული ჭერამში ყველა ორშაბათს უქმობენ მოსავლის შინ შეზიდვამდის, მაგრამ მუქთად არც ამ დროს ატარებს ეს შრომის-მოყვარე ხალხი. ამ დღეებში ქვრივ-ოხერს და საწყალს უთოხნიან ხოლმე სიმინდს, უმკიან ყანებს და ისე, რომ შუადღემდის და ხან სალამომდის ვერ გაიგებს საწყალი, თუ იმის საქმეს ხალხი ერთგულად და სიფაქიზით აკეთებს. ყანა თუ მომკეს, მშვენივრად დასდგამენ ხოლმე იქვე. თუ ვისმე რაიმე უბედურება დაემართა, დაიწვა ან სახლი დაექცა, ზარალს ხალხი მაშინვე უზღავს. მიცვალებული რომ ინება ჭერამში, ყველა მეკომური ვალდებულია ჭირისუფალთან მიიტანოს დიდი ჯამფილა ფქვილი, ზედ კვერცხებისა და მარილის ნაცეხის დადებით და ხელში სალვინე ღვინით. ეს მიტანანი არა თუ მიცვალე-

ბი, რომელნიც ფიზიკურადაც მოწიფულნი იქნებიან და გონებითაც; წერა-კითხვა და ანგარიში მაინც ეცოდინებათ და არც ისე ბავშვები იქნებიან, რომ სამეურნეო იარაღის ხმარება ვერ შესძლონ. ამას გარდა, სკოლას თუ საკმაო მიწა ექნება, შეიძლება ამ მიწის ნაწარმოები გაიყიდოს და თითონ სკოლასვე მოხმარდეს, რაც, ცოტაც არის, შეუმსუბუქებს მთავრობას ამ გვარი სკოლების შენახვის ტვირთსა.

ასეთი სკოლა ოცნების ნაყოფი არ არის; დიდი ხანია, რაც არსებობს სამზღვარს-გარედ და შესამჩნევი სარგებლობაც მოაქვს.

არ იქნება ურიგო, რომ ჩვენი სამეურნეო საზოგადოებაც ჯეროვანად დააკვირდებოდეს ამ საქმეს.

შინაური ქრონიკა

═ ფოთიდამ გვწერენ: «ამ თვის 6-ს გარდაიცვალა ქ. ფოთის ექიმი სერგეი ზურაბის-ძე შევარდნაძე და დღეს წაასვენეს გურიაში. ამ ყმაწვილი კაცის უდროო სიკვდილმა მეტად შეაწუხა ჩვენი ქართველი საზოგადოება.

« შევარდნაძემ უნივერსიტეტში კურსი 1881 წელს დაასრულა; ორი წელიწადი ემსახურა რუსეთის მხარეს ქ. ვისკში და ამ ექვსის თვის წინად ფოთში გადმოიყვანეს ექიმად. ამ ყველასაგან პატივ-ცემულის და ყველასთვის საყვარლის ყმაწვილი კაცის სიკვდილის მიზეზი იყო სიქლექი».

═ უკანა-მხარიდამ გვწერენ: «მაისის 3-ს აქ უბედური შემთხვევა მოხდა: ერთი თავადიშვილის სათიბის ყარაულმა თათარმა მოჰკლა ქვით მეორე თავადიშვილის მეძროხე. როგორც ისმის, საქმე ასე ყოფილა: უკანა-მხარში ეს თავადიშვილები მომიჯნავენი არიან. პირველმა მათგანმა არ მოხნა მამულები და სათიბად შეინახა, მეორემ კი ზოგი თითონ დახნა და ზოგიც სხვას მოახვნევინა, ასე რომ საძოვარი აღარ დარჩენოდა და საქონელს მეძროხე თურმე მომიჯნავეს საძოვარში უშვებდა. თუმცა მომიჯნავეს ბევრჯერ გაეფრთხილებინა, მაგრამ საქონლის ტარება სხვის სათიბში მეძროხეს არ დაეშალა. ბოლოს მაისის 3-ს კიდევ შეერეკნა საქონელი; ყარაულ თათარს გამოერეკნა საქონელი და მეძროხე წასჩხუბებოდა. ჩხუბში მეძროხეებიც მოშველებოდენ მწყემსს, თათარს გაესროლა ქვა და მეძროხესთვის საფეთქელში მოერტყა. რამდენიმე ხნის სისხლის დენის შემდეგ, უბედური მწყემსი მომკვდარიყო. მებატონეს თათარი იმ დღესვე წარედგინა მაზრის უფროსთან.»

═ სიღნაღიდამ გვწერენ: «ამას წინად „დროების“ შინაურ ქრონიკაში იყო მოხსენებული, რომ სიღნაღელებმა გადასწყვიტეს საკუთარი ექიმის მოწვევა და ამისთვის კიდეც იკისრეს ყოველ წლივ 1000 მანეთი ხარჯი. მართალია, ეს გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით სიღნაღს არა ღირსებია საკუთარი ექიმი. ამ გარემოებით სარგებლობენ ზოგიერთა გაიძვერა პირნი და ხელის-მოწერით, თუ ლაპარაკით ცდილობენ თავიანთი ნაცნობი, ან ნათესავი ექიმები მოიწვიონ, რომელთა გაიძვეროება კარგად იციან სიღნაღელებმა. ან რა საჭიროა სხვების მაჭანკლობა, როდესაც თითონ სიღნაღელებმა დაწვრილებით იციან მათი ავიცა და კარგიცა!

═ ჩვენს გაზეთშიაც და სხვა ადგილობრივ გაზეთებშიაც ბევრჯერ ყოფილა სამართლიანი ჩივილი იმაზედ, რომ ჩვენის ქალაქის ბაზრებში ერთობ გამრავლდენ დალალები, ჩარჩები და სხვა ამ გვარი უსაქმური და საეჭვო ხალხი. ისიც ბევრჯერ თქმულა, რომ ისინი მეტის-მეტად უმართებულად იქცევიან, ბევრს უწესობას და ურიგობას ახდენენ და ქალაქში სიძვირის ჩამოვარდნის ერთ უმთავრეს მიზეზთაგანნი არიან.

მათ შესახებვე ეხლაც ისეთს ფაქტებს გვატყობინებენ, რომელნიც არ შეგვიძლიან არ გამოვაცხადოთ და ქალაქის გამგეობის ყურადღება არ მივაქციოთ.

გვატყობინებენ, მაგ., რომ მათი რიცხვი ისე გამრავლებულა, განსაკუთრებით თათრის მეიდანზე და რიყეზე, რომ ყოველ დღე ბევრად მომეტებულნი არიან თურმე სურსათის შემომტანთ რიცხვზე. დილა ადრიან, თითქმის გაუთენებლივ, გამოდიან ბაზრებში, სდგებიან გზაში და გამგელებულნი ელიან სოფლელებს, რომელთაც ქალაქში ფქვილი, ხორბალი, ქერი, ყველი, ხილეულობა და სხვა ხორაგეულობა შემოაქვთ. აი დაინახეს ცხენით ან ურმით მომავალი გლეხი, დაფაცურდენ დალალები და, როგორც მგლის ხროვა, მიესივნენ მას; ზოგი ხურჯინსა ჰკიდებს ხელს, ზოგი ცხენს; ზოგი ადის ზედ ურემზე, ზოგი პატრონს ეხვევა და ყველანი თავისკენ ეწევიან. აი შემოვიდენ მეიდანში, პატრონის დაუკითხავად თვალის დახამხამებაზე ალაგებენ ძირს მოტანილს საქონელს; ზოგნი პატრონს ეხვევიან, ევაჭრებიან, ატყუებენ; ზოგი ხურჯინებს და ტომრებს დასტრიალებს, იწევს მყიდველს და უპატრონოდ ურიგდება ფასს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ვიდრემდის მათის ქცევით გაშტერებული სოფლელი გონზედ მოვა, ისინი სასწორზედ მიარბეინებენ მის საკუთრებას, ჰყიდიან, როგორც თავიანთ სურვილია, და პატრონს აძლევენ იმდენს ფასს, რამდენსაც თვითონ მოიქეიფებენ. თუ ამ დროს საცოდავმა გლეხმა ხმა ამოიღო და რაიმე წინააღმდეგობა გაუწია, კარგად ცხვირ-პირსაც დაამტვრევენ და ისე გაუშვებენ. ის მოვლენაც ხშირია ჩვენს ბაზრებში, როდესაც მომტანს გლეხს სრულიად ეკარგება მოტანილი და ხელ-ცარიელი ბრუნდება სოფელში; მაგ., ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში ერთი ცხინვალელი ურიისთვის მოუპარავთ დალალებს ერთი ტომარა შვრია და ერთი წალკელი ბერძნისთვისაც ერთი ტომარა

ბულს ჰმარხავს, ჭირისუფალსაც რჩება. თუმცა ჭერამში ას-სამოც კომლამდე მცხოვრებია, მაგრამ დუქანი და მედუქნე ისე სძაგთ, რომ აქ ამათი ფეხის მოკიდება არა გზით არ შეიძლება, როდესაც გარშემო გარე-კახეთის და შიგნით-კახეთის სოფლები მედუქნეებისაგან არიან გამოხრულნი. ხელოსნობა ჭერამელთა იქამდის არის გათქმული, რომ სიღნაღის მაზრა ამათ ურმით და ბარნიჩებითაც კი არ ახდევინებს ბეგარას— ახდევინებს ცულით: მთელ მაზრაში ბოგირების გაკეთება ჭერამელების ვალია—სხვა ბეგარა არ ხდებათ.

მხვნელ-მთესველობას უპირატესი ადგილი ეჭირა დღევანდლამდის ჭერამელთ ცხოვრებაში, მაგრამ ეხლა მეტად შემავიწროებელ მდგომარეობაში ჩააგდო «მეტყეურის» შემოღებამ და ამათი საქმის მთავრობის მიერ არ ცოდნამ. გარშემო ჭერამელებს დიდძალი ახოები გაეჩეხათ თავდაპირველადვე, ჰხნავდენ ამ ახოებს აჩაჩით და სისხლით შეპატიებულ მიწას უხვი მოსავალიც მოჰყავნდა თურმე. შავი ბოლოკის და მუხუდო-ლობიოს ყიდვით გარშემო სოფლებში თავდაპირველად ბლომა ფულებს იძენდენ ჭერამელები და ყმობიდან თვიც ამ ფულით დაიხსნეს. მალე შეტყეს ბატონებმა გამოქცეული ყმებს სადგომში თურმე და მოადგენ მათ ჭერამში— მინამ სულზე თითო წინცა ვერცხლის ფულს არ მისცემდენ, მინამ თავს არ ანებებდენ, და უარის თქმელს ხომ ხელებ შეკრულს ცემა-ტყეპით კორტოხს იქით ამოაყოფინებდენ თავსა. ეხლა სახნავი ახოები თითქმის სულ გამოელიათ ჭერამელებს და არამცთუ გასასყიდად არ მოსდით სიმინდი და ლობიო, პური და ბოლოკი, საჭმელადაც აღარა აქვთ და, შენი მტერი, რომ ამათი საქმე იქმნებოდა, თუ ხელობა მაინც არ ალონლიალებდეთ ბედშავებს. ახოს აქ ხუთ-ექვს წელს კაი მოსავალი მოჰყავს, მერე კი წყლისგან ირეცხება და ძირს კლდე რჩება. ეს ახო რამდენიმე წელს ისევ ტყით შეიმოსება ხოლმე. «მეტყეურე» (ლესნიჩი) ახალ ახოს აღარ ატეხინებს ხალხს, ძველები გაუნაყოფოვდა და ხალხი არის ერთ ვაი-ვაგლახში. ამათი ყრილობები, საუბედუროდ, ეხლა ხშირად გადასახლებაზე გუგუნებენ, ან მთავრობასთან საჩივარზე. ამ უკანასკნელისათვის დიდძალი ფულიც შეულევიათ მანქანა მოარზე ვაქბატონებზე. მართლაც საცოდავია ამ მშრომელი ხალხის მდგომარეობა და სამაგალითოც. რაც გინდ ხელ-გამომავალი ხალხი იყოს ჩვენი ხალხი, მაინც უხნავ-უთესოდ ღარიბდება. ხარჯს ჭერამელები მეტს იხდიან, ვიდრე სხვა გარშემო ხალხი— სახემწიფო თერთმეტი მანეთი და სამაბაზ-უზალთუნი მოსდით—ასე რომ მიწის ფულიც შიგ არის და გარდა ამისა, რაღაც საკანტორო მამულის იჯარას ახდევინებენ, —ორ-გვარ მიწის ხარჯს იხდიან და მიწა კი არა აქვთ. შეელა შესაძლოა: გარშემო დიდ-ძალი ველები აქვთ და სახნავად ეს ველები რომ მისცენ, ისევ წინ წამოიწევს ეს შესანიშნავი ხალხი; ეხლა კი ახო რომ ტყის პირში მამა-პაპით ჰქონდეს გატეხილი, მეტყეურის წვრილი მოხელეები არ ახვნევინებენ, ტყეს გააფუჭებთ, ფესვებზე აჩაჩა გადივლისო. გატეხილი ახო რომ იყოს და შუაში ერთი ხე იდგეს, არ ახვნევინებენ— ხე გაფუჭდებაო: ამ საწყლებს სამ-სამი დღის მამა-პაპით გატეხილ ახოებსაც აღარ ახვნევინებენ და ხარჯსაც მეტს ართმევენ. სარგებლობითა და კაი მაგალითით ჭერამელები ნემცებს არ ჩამოუვარდებიან.—კარგი იქმნება, რომ ამ გზით ეშველოთ ჭერამელებს და შევიწროებამ არსად გადააძეოს ეს მხნე ხალხი.

მდებარეობა ჭერამისა მეტად შესანიშნავია: ის ძევს ცივ გომბორის მთის კალთების შუაგულში, ერთ მანძილზე დასცქერის გარე-კახეთსაც, სიღნაღის მაზრასაცა და თელავისასაც. აქედან არც ერთი რადიუსი შვიდ ვერსზე გძელი არ იქმნება. ასეთი მდებარეობა თუ აიძულებდა გორგასლანს აქ ქალაქის აშენებას.

ეს ამდენი მაზრების ამყვავებელი კრამიტი მეტად იაფად იყიდება შიგ ჭერამში—ათასი თუმანზე და თორმეტ მანეთზე ზევით არ მიდის, მაგრამ გზები ისე ცუდია, რომ გადატანა ათასისა არა მხარეზე ნაკლებ თუმნისა არა ჯდება. —ჩვენი ხალხი ოც-და-ხუთ მანეთზე მეტს ათას კრამიტში არ მისცემს და უგზოობით ჭერამელიც ზარალით ჰყიდის კრამიტს. ორი გზა რომ გაუკეთონ ჭერამს—ერთი ველისციხიდან და ერთიც უკანა-მხრისაკენ— თითო ეს გზა ექვს ვერსტზე მეტი არ იქმნება და არამც თუ ჭერამს მოენიჭება აქედან რაიმე სარგებლობა, მთელ გარე და შიგნით-კახეთს კრამიტის გატანა გაუშალავათდებათ და ყველა კრამიტს დაჰხურავს სახლებს, რისგამოც შნოც მიეცემა სოფელს და ცეცხლით გადაწვაც შემცირდება.

ისე არ ჩაატარებს ჭერამელი აჩაჩას თავის ახოში, რომ წამდა-უწუმ გულსაკლავი ხრიკინი არ მოაღებინოს. «აპა აკლდამას გადავატარე აჩაჩაო»,— შეჰძახებს იგი და აუწევს ზევით, რომ არ მოიფუშოს საფლავი, რადგან ეს დიდ ცოდოდ მიაჩნია. გაკვირვებთ ეს შვიდ—რვა ვერსტზე მჭიდროდ მოფენილი აკლდამები და განცვიფრებაში მოსდიხართ: ნუთუ ერთმა ქალაქმა ამოდენა მკვდარი მიაბარა შავ მიწასაო. რომ ერთ დროს ქალაქი დიდი ყოფილა, ამას ეხლა გადარეცხილი ზედი-ზედ მიწყობილი აუარებელი აკლდამები გვაუწყებენ.

შაქრო.

1884 წ.
აპრილის 25-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფქვილი და რამდენიმე ცარიელი ტომარა; მერია სრულებით დაჰკარგვია ურიას, ხოლო ბერძნის ფქვილი და ტომრებიკი ერთს მოხუცებულს დალალს მოუპარავს, ერთი მედუქნის სარდაფში დაუმალავს და, შემდეგ ხანგრძლივი ძებნისა, იქ უპოვნიათ.

ამას გარდა, ზოგიერთა დალალები დალალობას არა სჯერდებიან, თვითონ ყიდულობენ სოფლელებისაგან სურსათს ნახევარ ფასად, აწყობენ იქვე მეიდანზე და შემდეგ ერთი-ორად, ერთი-სამად ასაღებენ ქალაქის მცხოვრებლებზე. თათრის მეიდანში დალალების ტომრები ყოველთვის უფრო ბევრია, ვიდრე სოფლელებისა, და ამის შემდეგ განა გასაკვირველი-ღაა ქალაქში სიძვირე!

ამით არა თავდება ამ «ქვეყნის-ჭამია» ხალხის ავ-კაცობა: ხშირად სხვა-და-სხვა მარებსაც თურმე უდებენ ხამს სოფლელებს და იმ ნახევარ-ფასიდამაც, რა ფასადაც სტყუებენ იგინი საქონელს, რამდენიმე ნაწილს კიდევ უჭერენ, ან დიდ-ხანს არ აძლევენ ფულს, ტომრებს და ამ გვარად საწყლებს რამდენიმე დღეს ცუდ-უბრალოდ არჩენენ ქალაქში. ეს რომ ცარიელი სიტყვა არავის ეგონოს, ჩვენ მოვიყვანთ ნამდვილ ფაქტს: ამ დღეებში ერთს ვიღაც დალალს უყიდნია ფქვილი მუხრანელი გლეხებისგან და მეიდანში დაუწყვია გლეხისავე ტომრებით; გლეხები ეხვეწებიან — დაგვიცალე ტომრები და გაგვიშვი შინაო; დალალი ეუბნება — ჯერ გავყიდო და მერე მოგცემთო, ან თუ კიდევ ძლიერ გეჩქარებათ, ამდენი და ამდენი მომეცით და დაგიცლითო. ამგვარად მთელი ორი დღე თურმე ატრიალა იმ უსინიდისომ გლეხები ამისთანა მუშაობის დროს, როდესაც გლეხს თითო წამი თითო ოქროდ ულირს და კიდევ თურმე დიდ-ხანს გააჩერებდა, რომ ვაჭრობის პოლიციას არ შეეტყო.

ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ქალაქის გამგეობას სასტიკი ყურადღება მიუქცევია ამ ბოროტებისთვის და პოლიციისთვისაც უთხოვნია ხსენებულ დალალთა და ჩარჩთა ბაზრებიდგან განდევნა.

გამგეობა რასაკვირველია, ამისათვის გულითადი მადლობის ღირსია, მაგრამ უფრო დიდს მადლობას დაიმსახურებს, თუ ყასბებსაც ყურადღებას მიაქცევს, ყოველივე, რაც დალალებზე ითქვა ყასბებსაც მიეწერება. ისინიც ძლიერ სტანჯავენ საკლავის მომრეკ სოფლელებს: სცემენ, ფულს უჭერენ, დიდ-ხანს არჩენენ ქალაქში და სხვა ამ გვარ ბოროტ-მოქმედებას სჩადიან.

— კვირას, მაისის 13-სათვის, დანიშნული საზოგადო წლიური კრება «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა» ვერ შესდგა, რადგან ანონიერი რიცხვი წევრთა ვერ მოგროვდა. კრება გადიდვა მაისის 27-სათვის, როდესაც იგი კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა მოვიდეს.

— კვირა ღამეს გაუტეხნიათ ქურდებს შიგნიდამ სალამბეგოვის მალაზია ოფიცრის ნივთებისა სარაჯოვის დიდ სახლებში, სასახლის ქუჩაზედ და ხუთასი თუმნის ნივთეულობა გამოუტანიათ.

— მისი ბრწყინვალება, თ. დონდუკოვ-კორსაკოვი ასხაბადში დაბრუნებულა და მაისის 19-ს თბილისში იქნება.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით საზოგადოებას გავაგებინოთ ერთი ძლიერ სამწუხარო და ყველა ჩვენისთანა შორს გადმოხვეწილი მუშებისათვის საყურადღებო ამბავი. მე გახლავარ ახლო-ნათესავი თბილისის პირველს გოსპიტალში გარდაცვალებულის ლაზარე ბერიძისა; ცხონებული იყო მშვიდი ხასიათისა, ერთ-გული და პატიოსანი მუშა; ოჯახის სიღარიბემ და ნაკლებულობამ აიძულეს იგი მიეტოვებინა თავის სამშობლოს მიწა-წყალი და ორიოდ ფარის საშოვნელად რაჭიდგან (სოფელი პატარა ონი) შორე კახეთს წამოსულიყო. კახეთში ის გახლდათ მეწისქვილედ; იმის ავ-კაცობა ქორადაც არავის გაგვიგონია. დაუჭერიათ, ბატონო, ეს პატიოსანი მუშა, მეწისქვილე, შეუკრავთ თოკებით და ულმერთოდ უცემიათ. ამბობენ დაჭერის მიზეზი ვითომც რაღაც ბილეთის უქონლობა იყოო. საბრალო ჯერ სიღნაღში უწვალებიათ, მერმე თბილისისკენ გამოუგზავნიათ, მაგრამ ცემისა და უსმელ-უჭმელობისაგან ისე დასუსტებულიყო, რომ ქალაქამდე ვერც კი მოაღწია, ტანჯული და გვემული მომაკვდავი თბილისის პირველს გოსპიტალში მიეთრიათ. თურმე სწორედ იმ დროს, რა დროსაც საბრალოს სული ხდებოდა, არესტანტების საავადმყოფოში მობძანებულიყო მათი ბრწყინვალება, მთავარ-მმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი, ენახა თავის თვალით ცემისაგან დალურჯებული და დასისხლიანებული გვამი, გამოეკითხა მიცვალებულის ვინაობა და დანაშაულობის ვითარება და ფიცხელი ბრძანება მიეცა ვისდამიც ჯერ იყო, რომ საქმე გამომძიებლისათვის გადაეცათ, გვამი კი ექიმებს გაეჭრათ და გაესინჯათ და ყოველივე გამოძიების შედეგი მათი ბრწყინვალებისთვის მოეხსენებინათ. გამოძიებამ რა აღმოაჩინა, არ ვიცი და ექიმებს კი დაუმტკიცებიათ, რომ ბერიძე ძლიერ ნაცემი და ნაწვალევი ყოფილა. მარჯვენა ხელფეხზედ თურმე ცხადად ეტყობოდა თოკის ჩანაჭერი; თოკის მოჭერის მიზეზით ხელფეხიც დასივებოდა და საძაგლად დალურჯებოდა; ტანზედაც ბევრს ალაგას გალახულობის ნიშნები უნახავთ; მაგრამ გარდაწყვეტით მაინც ვერ უთქვამთ, რომ სიკვდილის მიზეზი გალახულობა ყოფილიყვეს. ის კი უეჭველად აღუარებიათ, რომ ამ ნაირად ტანჯვას და ცემას შეეძლო მისთვის სიკვდილი მოესწრაფებინა.

ამის შემდეგ, უნებურად იბადება რამდენიმე კითხვა, რომლებზედ პასუხის მიცემა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. პირველი: რა დანაშაულობისთვის დაიჭირეს მეწისქვილე ბერიძე? უბილეთო იყოო, ამბობენ; ჩემის აზრით, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ამ საბუთის პატივდებაში მიღება, რომ ბერიძე ბინაზედ არ ყოფილიყოს და საქმეზედ არა მდგარიყოს, ე. ი. ქვეყნის მაწუხებელი მაწანწალა ყოფილიყოს; მაგრამ, რადგანაც ბერიძე დაბინავებულიც იყო და ყველა იცნობდა იმას მეწისქვილედ, იმის ვინაობაზედ ყოველივე ცნობები და ბილეთიც რაჭიდგან უნდა მოეთხოვათ კანონისამებრ, და თუ შემდეგ ამისა პასუხს ვერ მიიღებდენ, დატუსაღებას მერმეთაც მოესწრებოდა. მეორე: რისთვის სცემეს და შებოჭეს ტუსაღი ისე, რომ გალახულობამ სიცოცხლის დღე შეუმოკლა!... საქმე გამომძიებლის ხელშია და თვალს ვადევნებთ. იმედი კი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს საქმე ჩვეულებრივ უყურადღებოდ არ ჩაივლის, რადგანაც მათმა ბრწყინვალებამ უნდა განიხილოს.

ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

მაისის 13.

პეტერბურგი. მმართებლობის ცნობა: ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება, რათა განსჯილ იქმნეს მინისტრთა კომიტეტში საქმე შესახებ იმისა, რომ სახელმწიფო სამსახურის უმაღლეს თანამდებობათაზედა მყოფ პირთ აღეკრძალოს კერძო საზოგადოებებში და საკრედიტო დაწესებულებებში სამსახურში ყოფნა; ეხლა, მინისტრთა კომიტეტის ამ საგნის შესახებ ჟურნალის განხილვის შემდეგ, მისმა იმპერატორებითმა დიდებულებამ 9 მაისს უბძანა კანონმდებლის განყოფილების მთავარ-მართებელს, რათა შეიმუშავოს პროექტი ამ საგნის შესახებ.

შინაურ საქმეთა მინისტრის განკარგულებით ჟურნალებს: ,,Свѣтъ и Тѣни‘‘ და ,,Мирской толкъ‘‘-ს ცალკე ნომრობით ყიდვა აღეკრძალა.

ხმებია, ვითომც სახელმწიფო რჩევას შემოდგომამდინ გადაედვას იმ საქმის განხილვა, რომელიც შეეხება სამრეწველოთა შემოსავალზე ხარჯის დადებას.

მაისის 11-ს საიმპერატორო ბაღოსნობის საზოგადოებამ გაუმართა სადილი ხალხთა-შორებრივი კონგრესის წევრთა.

პარიჟი. გუშინ დეპუტატთა პალატაში წარადგინეს კანონ-პროექტი კონსტიტუციის გარდახილვის შესახებ; ერთად-ერთი მუხლი პროექტისა თხოულობს, რათა რესპუბლიკა გამოცხადებულ იქმნას გამგეობის სამუდამო ფორმად, შეიცვალოს ამორჩევის წესი სენატის წევრებისა, გაუქმდეს უცვლელ სენატორთა ინსტიტუტი და შეუმცირდეს სენატს უფლება ბიუჯეტის საქმეებში. ფერიმ წაიკითხა გუშინ წერილი, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ საკმაოა კონსტიტუციის გარდახილვა კანონ-პროექტში მოყვანილი მუხლებით განისაზღვროს; უმრავლესობას მოეწონა მინისტრების აზრი; უკიდურესმა მარცხენამ კი რამდენჯერმე შეაწყვეტინა კითხვა ირონიული სიცილით.

ბოლოგოიე. ღამის პირველ საათზე ორთქლით მატარებელს, რომელიც გუშინ მოსკოვიდან გამოვიდა, შემდეგი უბედური შემთხვევა მოუვიდა: ბოლოგოიეს სტანციასთან ჯერ არ მისულიყო, რომ მატარებელი (ЛОКОМОТИВЪ) ერთი ბარგისა და სამიც მგზავრების ვაგონი მეორე კლასისა გზიდან გადაცვივდენ; მგზავრი დიუტელი, მოსკოვის ერთი ქარხნის დირექტორი, იქვე მოკვდა; ძლიერ დასახიჩრდენ: ორიოლის ვიცე-გუბერნატორი ბერსი და ქ. ბრეხმანისა; მატარებლის მოსამსახურეთ ხუთს მიეცათ ზიანი.

მოსკოვი. გუშინდელ საღამოს სხდომაზე, საიმპერატორო რუსტეხნიკურ საზოგადოების მოსკოვის განყოფილებამ განიხილა კამისიის მოხსენება შესახებ რუსული ნავთის დასავლეთ ევროპაში გატანისა და გადასწყვიტა: გამოაცხადონ სურვილი, რომ ნავთი და მისი დანარჩენები გატანილ იქმნენ რუსეთიდან მხოლოდ შემუშავების შემდეგ. ამის გამო საზოგადოება საჭიროთა ჰხედავს აუკრძალოს ამ საქონლის გატანა შეუმუშავებლად, ან არა და დაადოს დიდი ბაჟი, რომ რუსის ქარხნებს შეეძლოთ კონკურენცია გაუწიონ იმ უცხოელების ქარხნებს, რომელნიც როგორც რუსეთში, აგრეთვე უცხოეთში იმყოფებიან.

«დროების» ფოსტა.

ტ. გ—ს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

ხ—ძეს. დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ თქვენს წერილებს, რადგან იმედი გვაქვს იგინი ყველასთვის საყურადღებონი იქნებიან.

ყ—სს ნ. მ—ლს. თქვენს ლექსებს ვერ დავბეჭდავთ, გარდა ხალხური ლექსისა.

განცხადებანი

სქემა

გირავის ფურცელთა ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა, გამოსულთა

მეთხუთმეტე XV ტირაჟში

1 მაისს 1884 წლისა, 58300 მანეთისა.

ა. $43^{1}/_{2}$ წლიანნი.
500 მანეთიანნი.
3 სერიისა . . № 98.
9 „ . . . „ 375.
100 მანეთიანნი.
2 „ . . . № 2.
4 „ . . № № 19 და 30.
5 „ . . „ „ 36, 38, 94 და 167.
6 „ . . „ „ 14, 68, 84 და 107.
7 „ . . „ „ 154, 202 და 289.
შემდგომის სერიებისა . . „ „ 932, 968, 992, 996, 1028, 1048, 1081, 1084, 1129, და 1157.

ბ. $18^{7}/_{12}$ წლიანნი.
1000 მანეთიანნი.
2 სერიის . . № № 9 და 12.
7 „ . . . „ „ 34, 66 და 76.
შემდგომის სერიებისა . . . . „ „ 313, 315, 348, 364, 371, 387, 540, 679, 717, 819, 833, 972, 974, 1036, 1051, 1114, 1121, 1125, 1192, 1406, 1531, 1620, 1630, 1657, 1658, 1706, 1812, 1824, 1872, 1898, 1920, 2045, 2115, 2152, 2170, 2315, 2341, 2363, 2427, 2569 და 2570.
500 მანეთიანნი.
3 სერიისა . . № № 13 და 56.
4 „ . . . „ „ 26 და 49.
შემდგომის სერიებისა . . . „ „ 299, 328, 365, 473, 550, 567 და 649.
100 მანეთიანნი.
3 სერიისა . . № № 27, 34, და 46
4 „ . . . „ „ 36, და 70.
6 სერიისა . № № 15 და 34.
7 ,, . . . „ „ 89 და 303.
შემდგომის სერიებისა . . ,, ., 851, 856, 878, 879, 880, 890, 985, 1040, 1086, 1224, 1307, 1333, 1465, 1535, 1627, 1653, 1716, 1724, 1781, 1810, 1841, 1892, 1893, 1919 და 1938.

შენიშნვანი.

1) ზღვევა გირავის ფურცელთა, გამოსულთა ამა მეთხუთმეტე ტირაჟში, და აგრეთვე მიმდინარე კუპონთა დაიწყება პირველის ივლისიდან ამა 1884 წლისა და შემდეგ ამ დროიდგანვე მოისპობა სარგებელი ამა ფურცელთა

2) საზღვეველად წარმოდგენილთა გირავის ფურცელთა ყველა კუპონები ზედ უნდა ჰქონდეს სარგებლის მოსპობის ვადამდე; ხოლო უკეთუ ამ კუპონების რიცხვიდან რომელიმე დააკლდა, მაშინ ამ დანაკლისის კუპონების ფასი გამოირიცხება გირავის ფურცლის საზღვეველის ფულისაგან.

3) ზღვევა ტირაჟში გამოსულთა გირავის ფურცელთა და აგრეთვე კუპონთა მოხდება:

ქ. ქუთაისს—ბანკის სამმართველოში.

ქ. პეტერბურგს—სახელმწიფო ბანკში და ვაველბერგის საბანკირო კონტორაში.

ქ. მოსკოვს, ოდესას და როსტოვს (დონის მდინარესთან) — სახელმწიფო ბანკის ადგილობრივს კონტორებში.

ქ. ვარშავას—ვაველბერგის საბანკირო კონტორაში.

ქ. თბილისს, ნიჟნი-ნოვგოროდს, ვლადიკავკაზს და ბაქოს—სახელმწიფო ბანკის ადგილობრივს განყოფილებებში.

4) ამ სქემაში არიან ნაჩვენები №№ მხოლოდ პირველთა შვიდთა სერიათა, მისთვის, რომ გირავის ფურცელთა №№ თვითოეულის ამ სერიათაგანისა იწყებიან პირველიდგან და მიმდინარეობენ ცალ-ცალკე; ხოლო შემდგომთა სერიათა, დაწყებული მერვიდან, №№ სერიათა არ არიან ნაჩვენებნი, ვინაიდგან ამ სერიათა გირავის ფურცლების №№ მიდიან განუწყვეტლად და მისგამო ეს №№ არაოდეს არ განმეორდებიან.

(1—1)

აბანო გოგილო!

ჰავლაბარში, კახეთის ქუჩაზედ, წმინდის გრიგოლ-განმანათლებლის ეკლესიის გვერდზე, წყალი ესე საშუალოდ თბილია, თვისება და მოქმედება ამ წყალისა ფრიად შესანიშნავი, რომელიც შემოწმებულია ბატონ დოქტურებისაგან. დიდათ სასარგებლო წყალია გოგილო, სხვა-და-სხვა სატკივრებისა. ე. ი. ქარებისათვის, მუწუკებისათვის, ტანის-ქავილისათვის და სხვა ამ გვართა მკურნალი, კვალად სასარგებლო მრთელთა და უტკივართაცა. ამა წყალსა პირველს და მეორეს გაბანებითვე უთუოდ იგრძნობს რომელსამე განახლებასა; ზოგიერთა პირნი კიდეც ყოფილან. სამზღვარს-გარედ სხვა-და-სხვა წყლებისა ბანებითა ვერ მიუღიათ განკურნება, როგორათაც ჩვენმა გოგილომ განკურნა და განათავისუფლა იგინი, რომელთაცა შეგვასმინეს და ჩვენცა გვეუბნებიან, შემდეგ ამისა, სამზღვარ-გარეთულად გავაკეთეთ ვანები, აგრეთვე ცალკე ნომერი და ოთახი, რომელიც შესაძლო იქმნება თვეობით ანუ დღიურობითაც დაქირავება.

(2—1)

თამამშოვის ქარვასლის საკუთრად თევზეულის მაღაზიაში ისყიდება მარტში დაჭერილი თევზეულობა: ზურგილი, დოში, სათალი, და სხვ. იქვე ყოველ დღე ისყიდება მოხარშული თევზეული.

(3—2)

გამოვიდა და ისყიდება:

განკიცხული.

მოთხრობა

ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ათი შაური.

ისყიდება: თბილისში, «დროების» რედაქციაში და შავერდოვის წიგნების საგენტოში.

ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში.

თელავში. ბ. როსტომაშვილთან.

ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში.

(20—3)

შპალიერი ახალი მხატვრობით მომავალის სეზონისათვის მილებული ბლომად და სხვა-და-სხვა გვარი საწყობში ოდესის ფაბრიკის.

ძმების ტარნოპოლისა

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.

ფასი იგივე, რაც ფაბრიკაზედ 10 კაპეიკიდგან მოკიდებული.

(30—5)

სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლე ეძებს

გაკვეთილს;

ქალაქ გარეთაც გაჰყვება. ადრესი „დროების“ რედაქციაში.

(10—4)

თბილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით, ამა მაისის 18, დილის 12 საათზედ, მოხდება

ვაჭრობა

იჯარით გაცემაზედ ორ-ეტაჟიანი შენობებისა ქალაქის სასახლეში ერევნის მოედანზედ. ვისაც ამ შენობების ალება სურს, შეუძლიანთ ნახონ პლანიცა და პირობებიც გამგეობის საშენობო განყოფილებაში (**строительное отдѣленіе Управы**) ყოველ-დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე, გარდა კვირა და უქმე დღეებისა.

(3—2)

გამოვიდა ჟურნალი

ივერია

აპრილის წიგნი № IV.

შეიცავს შემდეგ შინაარს: I ლელია (რომანი) ჟორჟ-ზანდისა, თარგ. კნ. ნ. ერისთავისაგან, II. ასეა და რა ვქნა? (ლექსი) ჰ—სი, III. საქართველოს მეფის-ძე რადამისტ—მეფე სომხეთისა და ტრაგედია კრებილიონისა ჟ-სი, IV. პედაგოგიური მოსაზრებანი («ნობათი» №№ II და III) მ. ნასიძისა, V. ქართველთა ძველი ცხოვრების კვალი წმ. ქვეყანაში და სინაის მთაზე—სიტყვა თქმული პროფესორის ა. ა. ცაგარელის მიერ პალესტინის საზოგადოების სხდომაზე 30 დეკ. 1883 წ. VI. შინაური მიმოხილვის მაგიერი, VII. დამატება ივერიისა: მასალა ისტორიისათვის. შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა.

ინგლისის მაღაზიაში,

თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—29)

მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2— ,,
— — 1—80	— 2 — 50
საუკეთესო 2—,,	— 3 — ,,

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, შურჭული, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ უკლაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100—24)

Доз. ценз. Тифлисъ, 14 Мая 1884 г.

სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ.

გამომც. გ. ქართველიშვილი.

რედ. ი. მაჩაბელი.